

**ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება:** გამოყენებითი ბიოფიზიკა  
Applied Biophysics

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ბიოფიზიკის მაგისტრი, MS.c in Biophysics

**პროგრამის ხელმძღვანელი:** თამაზ მძინარაშვილი, ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

**თანახელმძღვანელი:** დავით გამრეკელი, ასოცირებული პროფესორი

#### **სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები**

- სამაგისტრო პროგრამაზე დაშვება მოხდება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდისა და სპეციალობაში გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.
- მაგისტრატურის პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველისათვის აუცილებელია ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფიზიკაში, ბიოლოგიასა ან ქიმიაში.

#### **სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

**მიზანი:** სამაგისტრო პროგრამა, რომელიც დაფუძნებულია ისეთ დისციპლინებზე, როგორებიცაა ბიოლოგია და ფიზიკა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის მნიშვნელოვნად გაღრმავებას, რომლის შედეგადაც კურსდამთავრებული იქნება ჩამოყალიბებული მეცნიერი ბიოფიზიკის დარგში. მაგისტრატურაში სწავლება სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას შეიძინოს ცოდნა-გამოცდილება არა მარტო ვიწრო სპეციალობით, არამედ ბიოფიზიკის ყველა მიმართულებით და ჩამოყალიბდეს როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. პროგრამების დასახელებიდან გამომდინარე სტუდენტი ორიენტირებული იქნება გამოყენებითი ბიოფიზიკაზე, თუმცა, სწავლებისას მიღებული გამოცდილების ხარჯზე მზად იქნება, რათა აწარმოოს ფართო სამეცნიერო მუშაობაც, რასაც განაპირობებს მაგისტრატურაში მოსმენილი ლექციების დონე და ხარისხი. მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში სტუდენტს ექნება საშუალება გაიაროს პრაქტიკულ/ლაბორატორიული მეცადინეობები, როგორც უნივერსიტეტში ასევე თბილისში სხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში არსებულ ლაბორატორიებში (მაგალითად ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში, მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოფიზიკის, გელიავას სახელობის ბაქტერიოფაგში, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტებში და სხვაგან). სტუდენტი შეიძენს ცოდნას ისეთ პრაქტიკულ დარგებში როგორებიცაა ბიოტექნოლოგია, ფაგოთერაპია, ეკოლოგია და სხვა. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით საქართველოს ჰყავს აქტიურად მოღვაწე მეცნიერები, რომლებიც ჩართულნი იქნებიან სტუდენტების მომზადებაში საქმეში.

**შედეგი:** სტუდენტი, რომელმაც გაიარა სწავლება მაგისტრატურაში და დაიცვა მაგისტრის დიპლომი ბიოფიზიკის სპეციალობით, იქნება აღიარებული როგორც ჩვენთან ასევე დასავლეთის სამეცნიერო ცენტრების მიერ, როგორც მაღალკვალიფიციური მეცნიერი, რომელსაც შესწევს უნარი დამოუკიდებლად აწარმოოს სამეცნიერო კვლევა.

#### **დასაქმების სფეროები**

ფიზიკის მაგისტრი “ბიოფიზიკის” სპეციალობით დასაქმდება ბიოტექნოლოგიის, კვების მრეწველობის, ეკოლოგიის, სამედიცინო დაწესებულების, ფარმაცოლოგიის მიმართულებებით და სხვა. ე.ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი; მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტი; სამედიცინო ბიოტექნოლოგიების ინსტიტუტი; გელიავას სახელობის მიკრობიოლოგიის, ბაქტერიოფაგების და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი; დურმიშიძის სახელობის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი და სხვა.